

## ქ.ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2014 წლის პროგრამები

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულია:

- ბრონქული ასთმით დაავადების მქონე 19 წლამდე ასაკის პირებისათვის, 100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შშმ პირებისა და ასაკით პენსიონერებისათვის სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდება.
- ეპილევსიით დაავადებულ 19 წლამდე ასაკის პირებისათვის, 100000- მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შშმ პირებისა და ასაკით პენსიონერებისათვის სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდება.
- მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული 100000-მდე ქულის მქონე შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერთათვის მედიკამენტების მიწოდება .
- პარკინსონით დაავადებული 100000-მდე ქულის მქონე შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერთათვის მედიკამენტების მიწოდება.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა პროგრამით გათვალისწინებულია:

- ქ. ბათუმში მცხოვრები 30-60 წლამდე ასაკის პაციენტებში საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპიური და ექსკოპიური კვლევა.
- ქ. ბათუმში მცხოვრები 500 ქალის ონკო მარკერებით გამოკვლევა (საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით). საშვილოსნოს ყელის დაზიანების ამოკვეთა ან დაშლა (ექსციზიური მკურნალობა) მორფოლოგიით, რადიოტალური ან ლაზერული ქირურგია

მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობისა და ახალშობილთა აუდიოლოგიური სქრინინგი პროგრამით გათვალისწინებულია:

- დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა ქ. ბათუმში დაბადებული ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის; სამკურნალო მასაჟისა და ფიზიოთერაპიის 15 დღიანი კურსი, კალციუმის შემცველი მედიკამენტით უზრუნველყოფა.
- ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა (4500 ახალშობილი) გამოკვლევების ჩატარება

'ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია პროგრამით გათვალისწინებულია:

- ერგოთერაპია (შრომითი თერაპია) - ერგოთერაპევტების დახმარებით ხდება უნარ-შესაძლებლობების - ხატვა, ქარგვა, ძერწვა და ა.შ. გამოვლენა, მუსიკის მოსმენისა და საინტერესო ვიდეომასალის ნახვის შემდეგ ხდება მათი შთაბეჭდილებების, ემოციებისა და ხასიათების გამოვლენა; ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ინდივიდუალურად იკვლევს თითოეული პირის ფსიქო-ანალიტიკურ თავისებურებებს, ავლენს ქცევით დარღვევებს და ეხმარება ამ პირებს სოციალურ ადაპტაციაში.

სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება

პროგრამით გათვალისწინებულია:

- უფასო სასადილოების ბენეფიციარებისთვის ზედა და ქვედა ყბის პროტეზირება, გვირგვინის დამზადება, რენტგენოგრაფია, პერიდონტიტის და პაროდონტოზის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია (საჭიროების შემთხვევაში).

ქ. ბათუმში მცხოვრებ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯებით კომპენსაციით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია:

- კომპენსაციის გაწევა ყოველთვიურად, შემოერთებული ტერიტორიების მცხოვრებთათვის (20 პირი) 70 ლარის ოდენობით.
- კომპენსაციის გაწევა ყოველთვიურად, რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს და ვია-ვიატას ქალაქ ბათუმში მცხოვრები პაციენტებისთვის (72 პირი) 50 ლარის ოდენობით.

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია:

- 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება - კომპენსაციის გაცემა 500 ლარის ოდენობით.
- 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება - კომპენსაციის გაცემა 1500 ლარის ოდენობით

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა

პროგრამით გათვალისწინებულია:

- პირველადი პრეჰოსპიტალურ სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა,

- ქ. ბათუმის მოსახლეობის გადაუდებელი სასწრაფო დახმარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება

ქ. ბათუმში მცხოვრებ მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯებით კომპენსაციით უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულია:

- ქ. ბათუმში მცხოვრები მწვავე ლეიკემიით დაავადებული 12 ბავშვისთვის კომპენსაციის გაწევა 100 ლარის ოდენობით, ტრანსპორტირებისა და ცხოვრების ხარჯებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია პროგრამით გათვალისწინებულია:

- ცერებრალური დამბლით დაავადებული და სხვადასხვა პრობლემების მქონე 25 წლამდე ასაკის შ.შ.მ. პირის, 40 თანმხლები პირის დასვენების ადგილზე კეთილმოწყობილი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სამჯერადი კვება, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზიკულტურა, ზღვის პროცედურები 15 დღის განმავლობაში. (კურორტი ურეკი)

- 15-დან 25 წლამდე ასაკის შ.შ.მ. და 15 თანმხლები პირის დასვენების ადგილზე კეთილმოწყობილი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სამჯერადი კვება, ექიმის მეთვალყურეობა (კურორტი ბორჯომი).

სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა C ჰეპატიტის სქრინინგის პროგრამა პროგრამით გათვალისწინებულია:

- ბენეფიციარებისათვის ღვიძლის ფუნქციური კვლევების (ალტ, ასტ) ჩატარება. ბენეფიციარებს რომელთაც აღმოაჩნდათ ღვიძლის ფუნქციური კვლევების მაღალი მაჩვენებელი უკეთდებათ ანტისხეულების განსაზღვრა. პირებს რომელთაც აღმოაჩნდათ ანტი-HCV დადებითი, ჩაუტარდებათ დიაგნოსტიკური კვლევა, პოლიმერაზული ჯაჭვული რეაქციის PCR-ს განსაზღვრის მიზნით. პირებს რომლებსაც აქვთ PCR დადებითი, ჩაუტარდებათ დიაგნოსტიკური კვლევა გენოტიპის განსაზღვრავად.

მოხუცებულთა დახმარება და შინმოვლა პროგრამით გათვალისწინებულია:

- ბინაზე მომსახურება, მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ - სამედიცინო და სოციალური სერვისის მიწოდება (ექიმის, ექთნის, ფსიქოლოგის, რეაბილიტოლოგი) კვირაში ორჯერ, აუცილებელი მედიკამენტებით და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა

სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულია:

- კვებით უზრუნველყოფა- 0-57000 ქულის მქონე 2200 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა მთელი კვირის განმავლობაში (ერთეულის ფასი - 2 ლარი);

1 ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია:

- წყლისა და კანალიზაციის საფასურის გადახდა - 400 | ჯგუფის უსინათლო შშმ პირის წყლისა და კანალიზაციის საფასურის გადახდა ერთეულის ფასით 1,85 ლარი.
- დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის გადახდა - 400 | ჯგუფის უსინათლო შშმ პირის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის გადახდა ერთეულის ფასით 1,30 ლარი.
- სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის გადახდა - 170 | ჯგუფის უსინათლო შშმ პირის სატელეფონო სააბონენტო გადასახადის გადახდა ერთეულის ფასით 5 ლარი.

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა  
პროგრამით გათვალისწინებულია:

- უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება (მემორიალის შემკობა 15 თებერვალი, 9 მაისი, 26 მაისი, 27 სექტემბერი) - 1000 ლარის ოდენობით.
- 15 თებერვალი -- სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ 10 ვეტერანთათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა - 200 ლარის ოდენობით თითოეულზე.
- 9 მაისსთან დაკავშირებით 70-იI მსოფლიო ომის ვეტერანზე 200 ლარის ოდენობით თითოეულზე და 20 II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით თითოეულზე.
- 27 სექტემბერთან დაკავშირებით 65 საქ.ტერ.მთ.ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინვალიდებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.
- 50 გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით.
- ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ბანკეტის ორგანიზება
- ვეტერანთა საზოგადოებაზე დახმარების გაწევა სუბსიდიის სახით.
- 1700 -- ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები, სამხედრო ძალების ვეტერანების წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა ერთეულის ფასით 1,85 ლარი

- 1700 -- ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები, სამხედრო ძალების ვეტერანების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის გადახდა ერთეულის ფასით 1,80 ლარი
- 900 -- ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები, სამხედრო ძალების ვეტერანების სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფა ერთეულის ფასით 5 ლარი.
- . ახალ წელთან დაკავშირებით 70-იI მსოფლიო ომის ვეტერანზე და 20 II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით თითოეულზე. 150 ვეტერანს რომელსაც არ გააჩნია კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი და ვერ სარგებლობს "სოციალურად დაუცველი, I ჯგ. უსინათლო (შ. შ. მ.პ), ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახების გაზიფიკაციით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში გაეწიოს თხევადი აირის ტალონით დახმარება ყოველთვიურად 5კგ ოდენობით.

უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულ მობუცთა მოვლა-პატრონობა პროგრამით გათვალისწინებულია:

- 115 მზრუნველობას მოკლებულ მობუცთა ყოველდღიური მოვლა-პატრონობა; სამედიცინო მომსახურების გაწევა და კვებით უზრუნველყოფა. (ერთეულის ფასით 15,00 ლარი.)

სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება პროგრამით გათვალისწინებულია:

- 10500 - მდე 0-დან 70 000 ქულის მქონე ბენეფიციარი, მარტოხელა დედები და მათი შვილები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი) წყლისა და კანალიზაციის საფასურის გადახდა .
- 10500 - მდე 0-დან 70 000 ქულის მქონე ბენეფიციარი, მარტოხელა დედები და მათი შვილები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი) დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის გადახდა.
- 100 -- 0-დან 100 000 ქულის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად დაფარვა.
- 100 -- 0-70 000 ქულის მქონე გარდაცვლილი სოციალურად დაუცველის ოჯახის წევრზე ან სხვა შემთხვევაში: იმ პირზე ვინც გასწევს გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.
- უმწეო ხანდაზმულთა ცენტრისათვის კომუნალური ხარჯების, საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო ნივთებისათვის შესამენი ხარჯების დაფარვა.

- თვეში 1000 ცალი გაზეთის გამოცემა მთელი წლის განმავლობაში.

ერთჯერადი მატერიალური დახმარება ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე პროგრამით გათვალისწინებულია:

- მე-3 ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება - 300 ოჯახზე 550 ლარის ოდენობით.
- მე-4 ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება - 50 ოჯახზე 750 ლარის ოდენობით.
- 20 ოჯახზე მატერიალური დახმარების გაცემა ყოველი მე-5 და მომდევნო ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით 950 ლარის ოდენობით.

მრავალშვილიანი ოჯახების და უდედმამო ბავშვებისათვის მატერიალური დახმარება პროგრამით გათვალისწინებულია:

- ქ. ბათუმში 5 და 5-ზე მეტი 100 მრავალშვილიანი ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევა 3 მარტს დედის დღესთან (1000 ლარი) და სექტემბრის თვეში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით (1000 ლარი).
- ქ. ბათუმში მცხოვრებ 25 უდედმამო ბავშვებზე მატერიალური დახმარების გაწევა 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან (500 ლარი) და სექტემბრის თვეში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით (500 ლარი).

პროფესიული სწავლება პროგრამით გათვალისწინებულია:

- პროგრამა ითვალისწინებს ქ. ბათუმში რეგისტრირებული 0-დან 100000-მდე ქულის მქონე, მარჩენალდაკარგული, შშმ პირები, პრობაციონერები 200 ოჯახის წევრების პროფესიული სწავლება სხვადასხვა პროფესიებში. კერძოდ: ბუღალტერი; პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელი ოპერატორი; სტილისტი; მასაჟისტი; ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენდი), ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი, მზარეული.

საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულია:

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება M 3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის საფასურის კომპენსაციის სახით, კერძოდ: 1) 1000 ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანისა და მათთან გათანაბრებული პირების მგზავრობის 100% დაფინანსება კვარტალურად (თვეში 3 ლარის ოდენობით). 2) მასწავლებელზე, მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, 0-70 000 ქულის

მქონე ბენეფიციარებზე, შშმ პირებზე, პენსიონერებზე გადამზიდავის მიერ გაყიდული შედევატიანი ბილეთების რაოდენობის მიხედვით ერთ მგზავრობაზე 10 თეთრით კომპენსაცია. მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია გადამზიდავი.

სოციალურად დაუცველი, I ჯგ.უსინათლო (შ. შ. მ.პ), ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახების გაზიფიკაციით უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულია:

- 40 I ჯგუფის უსინათლო (შ.შ.მ. პ), 130 ომის ვეტერანის და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახის, 130 - 0-70000 ქულის მქონე ოჯახის გაზიფიკაციის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე).

ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა სოციალურად დაუცველი 0-70000 ქულის მქონე ოჯახების ყოველ პირველ და მეორე ახალშობილზე.

პროგრამით გათვალისწინებულია:

- მატერიალური დახმარება პირველ და მეორე ახალშობილზე, იმ ოჯახებისთვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემარება 70000 ქულას. პროგრამა გულისხმობს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას პირველ ბავშვზე 300 ლარის (200 ოჯახი) და მეორე ბავშვზე - 400 ლარი(150 ოჯახი) ოდენობით.